X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ენა და კულტურა

ნინო გაბინაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
n.gabinashvili19@gmail.com

2025 წლის 30-31 მაისს ქუთაისში ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა*. კონფერენცია მიეძღვნა ერთი ქართული ოჯახის გამორჩეულ შვილებს – მწერალ პოლიკარპე კაკაბაძეს, მხატვარ დავით კაკაბაძეს და ისტორიის მეცნიერებთა დოქტორს პროფესორ სარგის კაკაბაძეს.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და საზღვარგარეთის სხვადასხვა კვლევითი და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებმა, პროფესორებმა, მეცნიერ–თანამშრომლებმა, დოქტორანტებმა.

კონფერენციაზე მუშაობდა ექვსი სექცია: *გრამატიკის პრობლემები და პერსპექტივები; ლექსიკოლოგიური პრობლემები; ენათა სემანტიკის ფუნქციონალური და კოგნიტური კვლევა; პედაგოგიკის პრობლემები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; მხატვრული ლიტერატურა კულტურის კონტექსტში; თარგმნის თეორია და პრაქტიკა; ისტორია და თანამედროვეობა.*

მოხსენებები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების საინტერესო საკითხებს მოიცავდა. VI სექციას, რომელიც ისტორიაში თანამედროვე გამოკვლევებს აერთიანებდა ,თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტო-

რიის ინსტიტუტის პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყاროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: ნინო გაბინაშვილი (ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) – *„ჩვენ“/“სხვა“ დიქოტომიის აღქმა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბე-*



ბის პროცესში („ივერიის“ 1899 წლის ნომრების მიხედვით); მანუჩარ გუნცაძე (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი) – *ცხინვალის კონფლიქტის ეკონომიკური მხარე და ხიზნების საკითხი;* შოთა მათითაშვილი (კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი) – *ქართლის ეკლესიის დოგმატური მრწამსი გვიანანტიკურ ხანაში (337-627)*; დიანა მოსეშვილი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი) – *არაბული ენის როლი ჩრდილოეთ კავკასიის ენებისათვის „აჯამური“დამწერლობებისა და ორიგინალური სამწერლობო ტრადიციის ჩამოყალიბებაში.* სოფიო ქადაგიშვილი (თსუ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი) – *შუა საუკუნეების ქართული იდენტობის ზოგიერთი საკითხისთვის;* ნანა ქადარია (ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) – *თეოფინე ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ქართველი მთავრის იდენტიფიკაციისათვის*; მარიამ ჩხარტიშვილი (ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი) – *ქართული იდენტობის წრთობა XIX საუკუნეში: ილიას ღვაწლი.* სხდომის ბოლოს წაკითხული მოხსენებების გარშემო გაიმართა საინტერესო დისკუსია.

კონფერენციის სამუშაო ნაწილის დასრულების შემდეგ კონფერენციის მონაწილეები ორგანიზატორების მიწვევით ესტუმრნენ დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეას და დაათვალიერეს იქ წარმოდგენილი ექსპოზიციები.

საინტერესოდ დატვირთული დღე კი მეგობრული ვახშმით დასრულდა.

X INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE *LANGUAGE AND CULTURE*

Nino Gabinashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
n.gabinashvili19@gmail.com

On May 30–31, 2025, the 10th International Scientific Conference *Language and Culture* was held in Kutaisi, organized by *the Foundation for the Development of Art and Pedagogical Sciences* in cooperation with Akaki Tsereteli State University.

The conference was dedicated to the Georgian writer and public figure Polikarpe Kakabadze, the renowned painter Davit Kakabadze, and Professor Sargis Kakabadze.The event brought together representatives of numerous research and educational institutions from Georgia and abroad. The conference featured six sections, in which participants presented papers on a wide range of topics in the humanities and social sciences.

The eventful day ended with an informal dinner shared with fellow participants.